ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5564826

ნომერი: AR1835841

თარიღი : 07.07.2021

გაცემის თარიღი : 25.08.2021

გაცნობის თარიღი : 25.08.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , (ნაკვ. 37/9);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ პაპისმედოვი პ/ნ 01012000873
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 10 ბ. 191

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01... ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის მომიჯნავე N 01.17.13.037.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი პარამეტრები ვერ აკმაყოფილებს სსზ-2 ზონის პარამეტრებს და მისი სამშენებლოდ განვითარება იზღუდება სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია N 01.17.13.037.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ნაკვეთთან ერთად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გააქტიურებულია რუკის ცვლილების ღილაკი.

02... წარმოდგენილ იქნას ტოპოგრაფიული გეგმა, დასკანერებული, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ სველი ხელმოწერით დამოწმებული.

03... ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნას შენობის განთავსების განახლებული სქემა. სქემაზე დატანილ იქნას გაბარიტული ზომები და შენობის მიბმის მანძილები საკადასტრო საზღვრებამდე. ასევე დატანილ იქნას ხეებამდე მანძილი. მოგახსენებთ აუცილებელია შენობიდან ხეებამდე მანძილი იყოს არანაკლებ 3 მეტრისა.

04... ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნას განახლებული ბანერი ორივე საკადასტრო კოდის დაფიქსირებით .
აუცილებელია მიმდებარე განაშენიანების შესაბამისი სართულიანობის დაფიქსირება.
თქვენს მიერ მითითებული სართულიანობა არ არის მისაღები და შესამცირებელია

თქვენს მიერ განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ საკითხი განსახილველად გადაიგზავნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.